ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4250315

ნომერი: AR1641823

თარიღი : 04.11.2018

გაცემის თარიღი : 06.11.2018

გაცნობის თარიღი : 06.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბუხაიძე , N 54;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარენ ზახარიანი პ/ნ 01030034324
- თბილისი რუისპირის ქუჩა #1

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს დი ემ ჯგუფი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404480619
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კარენ ზახარიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030034324

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 430.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 352.41
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1330.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 985.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 345.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 7.17
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 5.47
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.7

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით ნაკვეთზე ფიქსირდება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობები. წარმოდგენილი იქნას გენგეგმა აღნიშნული შენობების ჩვენებით, არსებობის შეთხვევაში წარმოდგენილი იქნას ხსენებული შენობა-ნაგებობების კანონიერების დამდგენი დოკუმენტები. დამატებით განგიმარტავთ, რომ კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში სამსახური მოკლებულია იქნება შესაძლებლობას განიხილოს მათი დემონტაჟის საკითხი.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან წარმოდგენილი იქნება სადემონტაჟო შენობის კანონიერების დამდგენი დოკუმენტი ან მოთხოვნა შეეხება, ნაკვეთზე განთავსებულ, მხოლოდ იმ შენობებს, რომლებსაც გააჩნია უფლების დამადასტურელი დოკუმენტი, წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

- კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების მდგრადობაზე და დემონტაჟის მათზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ. დაკსნვაში რეკომენდაციების (დემონტაჟის ორგანიზებასთან და გამოსაყენებელი ტექნიკის შერჩევასთან დაკავშირებით) არსებობის შეთხვევაში, შესაბამისად დაკორექტირდეს დემონტაჟის ორგანიზების პროექტი.
- იპოთეკარის თანხმობა, ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
- დემონტაჟის ორგანიზების პროექტს უნდა ახლდეს სამშენებლო გენგეგმა. დროებითი ღობის საზოგადოებრივ სივრცეში მოწყობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.
- ვინაიდან სადემონტაჟო ღობე გადადის მომიჯნავე N01.16.06.056.014 საკადასტრო ერთეულზე, წარმოდგენილი უნდა იქნას მომიჯნავე ნაკვეთის მესაკუთრეთა თანხმობები, ხოლო ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობის არსებობის შემთხვევაში, თანხმობის წარმოდგენა შესაძლებელია კრების ოქმის (წევრთა 2/3-ის 50%-ზე მეტის თანხმობა) სახითაც.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.